

# საპატრიარქოს წყებანი




საქართველოს  
საპატრიარქოს  
პრესცენტრის  
ყოველკვირეული  
გამოცემა

№14  
924

11-17 აპრილი 2019 წ. გამოიცემა 1999 წლის 8 იანვრიდან  
ფასი 70 თეთრი

20



- ✠ პატრიარქის ქადაგება
- ✠ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დაუჯდომლის შაბათი
- ✠ აკლესია განგვამტკიცებს მარიამ ეპიკთალის მებალითით
- ✠ ქრისტიანული ნეოპლატონიზმი II

- ✠ 12 მაისი საქართველოს ღვთისმშობლის ნილსვდომილობის დღედ გამოცხადდა
- ✠ რათა კვლავ აღორძინდეს დაცლილი სოფლები
- ✠ სნეულების დათმენა და მზადება აღსარებისათვის
- ✠ დეკანოზი ერასტი მაჭარაძე 1856-1930

# ქრისტიანული ნეოპლატონიზმი

დიონისე არეოპაგელი და ნემესიოს ემესელი

დასაწყისი იხ. „საპატრიარქოს უწყებანის“ №13

**ნაწილი მეორე - ნემესიოს ემესელი**

დიონისე არეოპაგელის გარდა, შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში სხვა ქრისტიანი ნეოპლატონიკოსებიც იქცევდნენ ყურადღებას. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ცნობილი ქრისტიანი მოაზროვნე - ნემესიოს ემესელი (IV-V სს.). მისი ნაშრომი „ბუნებისათვის კაცისა“ იოანე პეტრიწმა XII საუკუნეში ძველი ბერძნული ენიდან ძველქართულად თარგმნა. ამის შესახებ თავად პეტრიწი მოგვითხრობს პროკლეს „თეოლოგიის საწყისების“ შესახებ შექმნილ თავის კომენტარში.

ნემესიოს ემესელი ენციკლოპედიური გონების მოაზროვნე იყო: მას არა მარტო ფილოსოფიასა და თეოლოგიაში ჰქონდა შესანიშნავი ცოდნა, არამედ მედიცინაში, ფსიქოლოგიასა და ფიზიოლოგიაში. მის შესახებ ის არის ცნობილი, რომ იგი იყო ემესის (სირია) ეპისკოპოსი. ნემესიოსის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ანტიკური ცოდნისა და ქრისტიანობის სინთეზი. მან ეს ისე კარგად მოახერხა, რომ ქრისტიანული ფილოსოფიური ანთროპოლოგიის მეტად საგულისხმო მოდელიც კი შექმნა. ნემესიოსის ნაშრომი „ბუნებისათვის კაცისა“ და მისი რეცეფციის ისტორია ნათლად აჩვენებს, რომ ნემესიოსმა მოახერხა ანტიკური სიბრძნის სათანადოდ ათვისება და მისი ნაყოფიერი გამოყენება იმდროინდელი ფილოსოფიური პრობლემების გადაჭრის პროცესში.

ნემესიოს ემესელის ნაშრომს „ბუნებისათვის კაცისა“ მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ფართო რეზონანსი ჰქონდა. ამ პერიოდის ბიზანტიელი, არაბი, სირიელი და ლათინურენოვანი სწავლულები საგანგებოდ განიხილავდნენ ამ ნაშრომსა და მის მთავარ დებულებებს. აღნიშნულმა ტექსტმა კავკასიური აზროვნების კონტექსტშიც დიდი როლი ითამაშა. VIII საუკუნეში მისი თარგმა-



**პროფესორი თანგიზ ირამაძე**

ნი არსებობდა ძველ სომხურ ენაზე, ხოლო მოგვიანებით, როგორც უკვე ითქვა, ის იოანე პეტრიწმა თარგმნა ძველქართულად.

ნემესიოს ემესელის ეს ნაშრომი, პირველ რიგში, ქრისტიანული ფილოსოფიის დაფუძნების წარმატებულ მცდელობას წარმოადგენს:

1. შესავალ ნაწილში ნემესიოს ემესელი სამყაროს პრობლემასა და მასში ადამიანის ადგილს განიხილავს.
2. ნაშრომის პირველ ნაწილში ნემესიოსი ეხება სულის ბუნებას და მის მიმართებას სხეულისადმი, ამასთანავე, განიხილავს სხეულის სტრუქტურასა და მის ელემენტებს.
3. ნაშრომის მეორე ნაწილში კი იგი იკვლევს სულიერი და ფსიქიკური ძალების თვისებებს, ფუნქციებს და მათ ფსიქოლოგიურ საფუძვლებს.
4. დასასრულს, ნემესიოსი განიხილავს საკითხს ღვთაებრივი წინასწარქვერეტის შესახებ და ცალსახად უკუაგდებს, უარყოფს ფატალიზმს.

ამ ურთულესი ფილოსოფიური და ფსიქოლო-

გიური პრობლემების/საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში ნემესიოსი ეყრდნობა ბერძენი ფილოსოფოსების (პლატონი, არისტოტელე, ეპიკურე, სტოიკოსები, პლოტინი, პორფიროსი და სხვ.) მოსაზრებებს. მიუხედავად ამისა, მისივე ნაშრომიდან აშკარად ჩანს, რომ იგი არის ქრისტიანი ნეოპლატონიკოსი მოაზროვნე, ამ სიტყვის მკაცრი გაგებით: მისი ნაშრომის თეორიულ ნაწილში იგი ინტენსიურად იყენებს პლატონის კონცეფციას, ფიზიკის პრობლემების გადაჭრის დროს კი არისტოტელეს ფილოსოფიას ეყრდნობა. საბოლოო ჯამში, ნემესიოს ემესელმა ორივე ბერძენი მოაზროვნე ნაყოფიერად გამოიყენა სამყაროსა და ადამიანის შესახებ ქრისტიანული მოძღვრების შექმნის პროცესში. ქრისტიანულად გაგებული ფილოსოფიის მთავარ პრობლემად ნემესიოს ემესელს მიაჩნია ადამიანი და მისი ცენტრალური ადგილი კოსმოსში. იგი ადამიანს მიკროკოსმოსად და მაკროკოსმოსის „მსგავსებად“ მიიჩნევს. ადამიანს სამყაროს შემეცნება შეუძლია, რადგან იგი საკუთარ თავში მოიცავს ყოფიერების სხვადასხვა საფეხურს. სწორედ ამის გამო ეწოდა მას, შუა საუკუნეებში გავრცელებული ფორმულის თანახმად, „კვანძი ღმერთსა და სამყაროს შორის“.

ნემესიოს ემესელის შემოქმედების ამ ასპექტს სათანადო ყურადღება მიაქცია მისმა ქართველმა მთარგმნელმა და კომენტატორმა იოანე პეტრინმა. პეტრინი ამ ადგილს დაწვრილებით განმარტავს: შემეცნებელი ადამიანი - ნემესიოსის შემეცნების თეორიული პერსპექტივიდან გამომდინარე - როგორც „კვანძი ღმერთსა და სამყაროს შორის“, ცენტრალურ ადგილს იკავებს შექმნილ/გრძნობად სამყაროში. მხოლოდ ადამიანია ის არსება, და ისიც მისი განსაკუთრებული კოსმიური მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს ღვთაებრივსა და სამყაროსეულს. ამის მეშვეობით მას დიდი პასუხისმგებლობაც კი ეკისრება ღვთისა და ადამიანების

წინაშე. ამდენად, ნემესიოს ემესელისა და იოანე პეტრინის მიხედვით, ქრისტიანული ანთროპოლოგია მთლიანად უნდა კონცენტრირდეს ადამიანის თანამედროვე მდგომარეობაზე.

ნემესიოს ემესელის კონცეფცია ადამიანის (როგორც მიკროკოსმოსის) შესახებ მსგავსია გვიანი შუა საუკუნეების ნეოპლატონიკოსთა (მაგალითად, ბერთოდ მოსბურგელი) და რენესანსის ეპოქის მოაზროვნეთა (მაგალითად, ჯოვანი პიკო დელა მირანდოლა) მსგავსი მოძღვრებისა.

ქრისტიანული ანთროპოლოგიის ის მოდელი, რომელიც „ბუნებისათვის კაცისას“ იოანე პეტრინისეულ თარგმანშია მოცემული, დიდ გავლენას ახდენდა ქართული აზროვნების ფორმირების პროცესზე. ამის კარგი მაგალითია სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“, იგივე „ლექსიკონი ქართული“, რომელიც დღესაც ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში და ნემესიოს ემესელის განსაზღვრებათა და შეხედულებათა მთელ წყებას მოიცავს.

ანტონ ბაგრატიონმა კი ნემესიოს ემესელის მოძღვრება სულის შესახებ გამოიყენა თავის ნაშრომში „სპეკალი“ (1752 წ.). იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სულის ფუნქციური მოქმედების საკითხს, კერძოდ კი, მის იმ ფუნქციას, რომელიც სხეულის წარმოშობის საფუძველია. სული წარმართავს სხეულს და მას ნამდვილობას ანიჭებს. ანტონის აზრით, ნემესიოსმა სულის შესახებ მრავალი მცდარი მოძღვრება და კონცეფცია უკუაგდო. განსაკუთრებით წარმატებით კი ემესელმა ეპისკოპოსმა ორიგენეს (II-III სს.) „ბრმა მოძღვრება“ უარყო, ისევე როგორც ელველთა არაერთი ფანტაზია და მანიქველთა „საშიში სიბრძნისმოყვარეობა“.

თენგიზ ირემაძე

ახალი საქართველოს

უნივერსიტეტის პროფესორი,

კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის  
სამეცნიერო-კვლევითი არქივის დირექტორი